

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონპროექტზე „წყლის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის შემუშავება განაპირობა „სახელმწიფო სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მომზადებამ.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის „სახელმწიფო სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონში, ნაცვლად „სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა“, ჩაიწერა „სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი).“

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: აღნიშნული კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფის აუცილებლობას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება:

სახელმწიფო არ იღებს ახალ ფინანსურ ვალდებულებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება ფინანსური ზეგავლენა არ გააჩნია.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტით არანაირი გადასახადი, მოსაკრებელი, ან სხვა სახის გადასახდელი არ არის განსაზღვრული.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

კ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

კ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები. მასში აღინიშნება:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

საქართველოს სტატისტიკის სისტემის რეფორმის კონცეფციის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფი, საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროები, პრემიერ-მინისტრის აპარატი, არასამთავრობო ორგანიზაციები, პარლამენტის წევრები, უცხოელი და ადგილობრივი ექსპერტები, დონორები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტების შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

საქართველოს სტატისტიკის სისტემის რეფორმის კონცეფციის შემმუშავებელმა სამუშაო ჯგუფმა "დ.ა" პუნქტში აღნიშნულ სხვა ექსპერტებთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად შეიმუშავა აღნიშნული კანონპროექტი, შესაბამისად "დ.ა" პუნქტში აღნიშნული ყველა ექსპერტი იზიარებს აღნიშნული კანონპროექტის ძირითად არსს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

პროექტის ავტორია საქართველოს სტატისტიკის სისტემის რეფორმის კონცეფციის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი: საქართველოს მთავრობა.